პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 252 (10646) | შაბათი, 27 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მოელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური საზოგადოების შენებლობის დიადი საქმისათვის!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან)

გავაღამაზოთ და გავამშვენიეროთ ჩვენი ქალაქები და სოფლები

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად სულ უფრო საამური და ბედნიერი ხდება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის მძლავრი განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საბჭოთა ადამიანებს. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში აშენდება ახალი ქალაქები და სოფლები, ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და ელექტროსადგურები, მძლავრ გაქანებას მიიღებს საბინაო მშენებლობა, დიდძალი თანხები დაიხარჯება მშრომელთა კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად, მაღალ მწვერვალებს მიაღწევს სოციალისტური კულტურა და საბჭოთა მეცნიერება. ყველაფერი ეს მიმართულია საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობისაკენ. ყველა პირობა იქმნება იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო გახდეს მთელ მსოფლიოში არა მარტო ყველაზე მძლავრი და მდიდარი, არამედ ყველაზე ლამაზი ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის ძალა და ენერგია შემატა კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს სურთ, რომ ჩვენი ქალაქები, დაბები, სოფლები იხილონ მწვანით შემოსილი, რომ არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებულ საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებს, თეატრებსა და კლუბებს ამშვენებდეს ბაღები და პარკები, ხეივნები და ყვავილნარები.

მწვანე ნარგაობა მარტო სილამაზე როდია. იგი არის ჯანსაღი ჰაერი, სიგრილე, ადამიანთა დასვენების საუკეთესო საშუალება. ამიტომ არის, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ყველა კომკავშირელისადმი, პიონერისადმი, მოსწავლისადმი, მთელი ახალგაზრდობისადმი — მოაწყონ ლაშქრობა ქალაქების, სოფლების, მუშათა დაბების, ქუჩებისა და მოედნების, ქარხნებისა და სკოლების ეზოების გასამწვანებლად — მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერა ჰპოვა.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას და კონკრეტული ვალდებულებები იკისრა. ახალგაზრდობის ძალებით თბილისის ზღვის მიდამოებში 100 ჰექტარზე მოეწყობა ტყე-პარკი, გამწვანდება თბილის-ბათუმის საავტომობილო ტრასი, სარაიონთაშორისო და სასოფლო გზების ცალკეულ კილომეტრებზე დაირგვება ხეხილი; მრავალწლიანი ნარგავები და ყვავილნარები დაამშვენებენ რაიონულ ცენტრებში მისასვლელ გზებს.

ახალგაზრდობას ამ კეთილშობილური წამოწყების განხორციელებაში ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მთელმა საზოგადოებრიობამ. ბოლო უნდა მოეღოს გამწვანებისა და კეთილმოწყობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რასაც აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით. მაგალითად, სოხუმის რაიონის ოდიშის სასოფლო საბჭოს და კლუბის ეზო გასულ წლებში შემოღობილი იყო, აქ ხარობდა მარადმწვანე და დეკორაციული მცენარეები, მაგრამ მოუვლელობისა და დაუდევრობის გამო მწვანე ნარგაობა პირუტყვმა გათელა, ხოლო ხის მასალა, რომლითაც ეზო იყო შემოკავებული, შეშად გამოიყენეს. ამ მხრივ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა გაგრის რაიონის ლმაანის სასოფლო საბჭოში, რომლის აღმასკომის შენობის გარშემო უხვად არის ეკალბარდები.

გამწვანების საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა ქ. სტალინირში, ქმედითი ღონისძიებები არ ხორციელდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისათვის. სტალინირის ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დაშრა ხელოვნური ტბა, რომელიც ასაზრდოებდა, რწყავდა მცენარეებს. პარკში არ მუშაობს წყალსადენი, რაც სერიოზული საფრთხეს უქმნის მწვანე ნარგავებს. პიონერთა პარკი მთლიანად მოტიტვლებულია. საქალაქო საბჭოს აღმასკომი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტი კი ქმედით ღონისძიებებს არ ანხორციელებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მშობლიური ქალაქის გამწვანებისა და გალამაზებისათვის ინიციატივას არ იჩენენ აგრეთვე რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტი.

ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის ზრუნვა არა მარტო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამოცანაა. ამ საპატიო და პასუხსაგებ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი უნდა დაეხმარონ ახალგაზრდობას გეგმების სინამდვილედ გადაქცევაში.

ამ საშვილიშვილო საქმეში „ტყის მეგობრის“ ორგანიზაციებმა. ახალგაზრდობას აქვს დიდი ენერგია, ინიციატივა, მაგრამ აკლია გამოცდილება. ამიტომ გამწვანების სპეციალისტების, აგრონომების ვალია დაეხმარონ ახალგაზრდებს ზუსტი და ნათელი სამუშაო გეგმების შემუშავებაში, ასწავლონ სად რომელი მცენარე დარგონ, როგორ მოუარონ და გაახარონ იგი.

ბაღების, პარკების, სკვერების გაშენება უნდა ხდებოდეს ქალაქისა თუ სოფლის მშენებლობის გეგმის გათვალისწინებით, ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ არ მოგვიხდეს ახალდარგულ ნარგავთა გაჩეხვა.

მცენარის დარგვით როდი ამოიწურება ამოცანა. საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის. ამასთანავე უნდა ვეცადოთ იმდენი ხე და ბუჩქი დავრგათ, რამდენის მოვლა-პატრონობასაც შევძლებთ, რადგან არც თუ ცოტაა იმის ფაქტები, რომ მოუვლელობის შედეგად დიდძალი მწვანე ნარგავი ხმება.

მწვანე ნარგავთა დაცვა მარტო მილიციის ორგანოების ვალი როდია. საჭიროა დავრაზმოთ საზოგადოებრივი აზრი ქალაქისა თუ სოფლის, დაბისა თუ დასახლებული პუნქტის მწვანე საბოსელის დასაცავად.

საქართველო მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთ ულამაზეს რესპუბლიკად ითვლება, მაგრამ მშრომელის მარჯვენას — ბუნების დიად გარდამქმნელს შეუძლია იგი კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადოს. ამისათვის კი საჭიროა თავდადებული და ნაყოფიერი შრომა.

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქები და სოფლები, ვიზრუნოთ მათი გამწვანებისა და გამშვენიერებისათვის.

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს გატონ თეოდორ კიორნერს

ვენა

ავსტრიის რესპუბლიკის დღესასწაულთან — ავსტრიის ალმის დღესთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, გადავცე ავსტრიელ ხალხს და პირადად თქვენ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და გისურვოთ კეთილდღეობა და ბედნიერება.

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1956 წლის 25 ოქტომბერი.

ყვარღის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს გერანისა და რეჰანის დამზადების გეგმა

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის შეასრულეს გერანისა და რეჰანის დამზადების წლიური გეგმა. დამზადება გრძელდება. (საქდესი).

შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბელგიას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ბელგიის მთავრობამ, რომლებიც ისწრაფვიან ყოველმხრივ გააფართოონ ორივე ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობა საბჭოთა და ბელგიელ ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთი რწმუნებულნი:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი ტროფიმეს-ძე შეპილოვი;

ბელგიის მთავრობამ — ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ-ანრი სპაააკი,

რომლებიც რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო ფორმით შედგენილი და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე წაახალისებს უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებისა და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრების გაცვლას.

კანდიდატების შერჩევასა და რიცხვს, აგრეთვე გაცვლის მიზნებსა და ფორმებს განსაზღვრავენ თვითონ უნივერსიტეტები ან სამეცნიერო საზოგადოებანი, ხოლო შემდეგ წარადგენენ მუდმივი შერეული კომისიის განსახილველად.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე წაახალისებს პირველი და მეორე საფეხურის სკოლების პედაგოგიური შემადგენლობის წევრების, აგრეთვე სამხატვრო და ტექნიკური პროფილის მასწავლებლების გაცვლას მეორე ქვეყნის სკოლების მუშაობის გაცნობის მიზნით.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მხარეები ნაცვალგების პირობებში განახორციელებენ სტუდენტების, ასპირანტებისა და პრაქტიკანტების, აგრეთვე იმ პირთა გაცვლას, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევიან მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები მხარეები დააარსებენ სტიპენდიებს, რათა საშუალება მისცენ თავიანთ თანამემამულეებს განაგრძონ სწავლა ან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მეორე ქვეყანაში. ამ სტიპენდიების რიცხვსა და მეორე ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობას წარმოადგენს შერეული კომისია.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ მეცნიერთა და მასწავლებელთა დელეგაციების ურთიერთვიზიტების მოწყობას.

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ ამ ქვეყნებში აღიარებული ახალგაზრდათა ორგანიზაციების თანამშრომლობას.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მხარეები განახორციელებენ ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების დარგში გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარებას დელეგაციათა და ცალკეულ მოღვაწეთა გაგზავნის, ინფორმაციისა და სათანადო მასალების ურთიერთ გადაცემის გზით, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გაცვლის, გამოფენების, კონცერტების მოწყობის გზით და სხვ.

მუხლი 8

ხელშეკრულების დამდები მხარეები წაახალისებენ თანამშრომლობას რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში რადიოპროგრამებისა და სატელევიზიო პროგრამების გაცვლის გზით. ისინი ხელს შეუწყობენ აგრეთვე სამამულო ფილმების გაცვლას ოფიციალურ უწყებებს შორის შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 9

ხელშეკრულების დამდები მხარეები წაახალისებენ აგრეთვე გაცვლას მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

მუხლი 10

ხელშეკრულების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ სასპორტო კავშირის განვითარებას სპორტსმენთა და სასპორტო დელეგაციათა გამგზავრების ურთიერთმოწყობის გზით, აგრეთვე წაახალისებენ ბელგიელ მოქალაქეთა ტურისტულ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში და საბჭოთა მოქალაქეებისას ბელგიაში.

მუხლი 11

ხელშეკრულების დამდები მხარეები მოაწყობენ კონსულტაციებს ერთმანეთთან მათი საერთო კულტურული ინტერესების დასაცავად საზღვარგარეთ.

მუხლი 12

ამ შეთანხმების განხორციელების შედეგად წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად იქმნება მუდმივი შერეული კომისია, რომელიც შედგება 10 წევრისაგან. თვითეული მხარე ნიშნავს წარმომადგენელთა თანაბარ რაოდენობას.

ამ კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის მოწესრიგება მოხდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1. კომისიის წევრებს დანიშნავენ შესაბამისი მთავრობები.

ხელშეკრულების დამდები მხარეები კომისიის შემადგენლობას ერთმანეთს აუწყებენ დიპლომატიური გზით.

2. მუდმივი შერეული კომისია პლენარულ სხდომაზე შეიკრიბება ყოველთვის, როცა ეს საჭირო იქნება და სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, რიგრიგობით სსრ კავშირსა და ბელგიაში. ეს სხდომები გაიმართება მეთერთმეტე წევრის თავმჯდომარეობით, რომელიც იქნება სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, როცა სხდომები გაიმართება სსრ კავშირში, და ბელგიის განათლების მინისტრი, როცა სხდომები გაიმართება ბელგიაში. სათათბირო ხმით მდივნის ფუნქციებს შეასრულებს საბჭოთა ან ბელგიის კულტურული ატაშე ან, მისი არყოფნის დროს, საელჩოს წარმომადგენელი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას, იმის მიხედვით, სსრ კავშირში გაიმართება სხდომა თუ ბელგიაში.

კომისიის სხდომის მოწყობასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ხარჯებს ეწევა მხარე, რომელშიც იმართება კომისიის სხდომა.

მუხლი 13

კომისიის ამოცანაში შედის კულტურული თანამშრომლობის ყოველწლიური გეგმების შეთანხმება, მათ შორის ფინანსურ ანგარიშსწორებათა საკითხებისა, თუ ეს საკითხები რეგლამენტირებული არ არის სათანადო შეთანხმებებით. კომისიის მიერ შეთანხმებული გეგმები დასამტკიცებლად წარედგინება ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მთავრობებს.

კომისია კონტაქტს დაამყარებს საზოგადოებებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ კულტურული კავშირის საკითხებზე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ბელგიაში.

მუხლი 14

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება ხუთ წელიწადს. თუ შეთანხმება დენონსირებული არ იქნა ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, იგი გაგრძელდება შემდეგ ხუთ წელიწადს.

შედგენილია მოსკოვში 1956 წლის 25 ოქტომბერს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
დ. შეპილოვი

ბელგიის მთავრობის რწმუნებით
პოლ-ანრი სპაააკი

ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბელგიას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ

25 ოქტომბერს ნაშუადღევს კრემლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ბელგიას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლ-ანრი სპაააკმა.

ხელის მოწერას დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის პირველი განყოფილების გამგე ა. ა. არუთინიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

ბელგიის მხრივ დაესწრნენ პრემიერ-მინისტრი ახილ ვან აკერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლუი შეივენი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გენერალური ადმინისტრაციული დირექტორი ვიკონტი ობერ დე ტიოზი, ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ვალტერ ლორიდანი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი რობერ როტშილდი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უფროსის მოადგილე რობერ სენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების დირექტორი გრაფი შარლ დე კერკჰოვე დე დენტერგემი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მდივანი მ. სიქსი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის სოციალურ საკითხთა მრჩეველი ი. ლაუვერეინსი.

დარბაზში იყვნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, მათ შორის ბელგიელი ჟურნალისტების ჯგუფი. (საკდესი).

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს გატონ იულიუს რააბს

ვენა

ავსტრიის ალმის დღის გამო, რომელიც აღინიშნება ავსტრიის მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადების წლისთავზე, მიიღეთ, ბატონო ფედერალურო კანცლერო, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მეგობრული მოლოცვა და კეთილი სურვილები. ამ დღეს სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ნეიტრალიტეტის გზამ, რომელიც ავსტრიელმა ხალხმა აირჩია, მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და მას მხარს უჭერს ყველა ხალხი.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის შემდეგშიც წარმატებით განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა სასარგებლოდ, საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ნ. ბულგანინი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1956 წლის 25 ოქტომბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა ბელგიის პრემიერ-მინისტრის ვან აკერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოლ-ანრი სპაააკის პატივსაცემად

25 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო დარბაზობა ბელგიის პრემიერ-მინისტრის ახილ ვან აკერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოლ-ანრი სპაააკის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ახილ ვან აკერი მეუღლითურთ, პოლ-ანრი სპაააკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლუი შეივენი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გენერალური ადმინისტრაციული დირექტორი ვიკონტი ობერ დე ტიოზი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი რობერ როტშილდი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უფროსის მოადგილე რობერ სენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების დირექტორი გრაფი შარლ დე კერკჰოვე დე დენტერგემი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მდივანი მ. სიქსი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის სოციალურ საკითხთა მრჩეველი ი. ლაუვერეინსი და ბელგიიდან ჩამოსული სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე საბჭოთა კავშირში მყოფი ბელგიელი ჟურნალისტები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და ი. ს. კოდიცა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სხვა ოფიციალური პირები, კულტურის მოღვაწეები, წარმოების ნოვატორები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ვალტერ ლორიდანი და საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დროს შესრულებულ იქნა ბელგიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ა. ვან აკერმა დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

დეპეშა

ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს გატონ ლეოპოლდ ფიგლს

ვენა

მიიღეთ ბატონო მინისტრო, ჩემი გულითადი მოლოცვა დღესასწაულის — ავსტრიის ალმის დღის გამო.

ნება მიბოძეთ ვუსურვო ავსტრიელ ხალხს წარმატება მის მშვიდობიან შრომაში, თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

დ. შეპილოვი,

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

1956 წლის 25 ოქტომბერი.

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ რაიონული კომიტეტის წევრთა აქტივობა

კომუნისტის წერილი

პარტიის გარდაბნის რაიკომში 35 წევრია. მათზე დაყრდნობით რაიონულმა კომიტეტმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა იმისათვის, რომ გააძლიეროს პარტიული მუშაობა და შემდგომ განამტკიცოს მასებთან კავშირი.

ამას წინათ რაიონული კომიტეტის პლენუმის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას ფორმალური ხასიათი აქვს. შეჯიბრება განსაკუთრებით სუსტად იყო გაშლილი საკოლმეურნეო ბრიგადების, რგოლების წევრთა და მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა შორის, დროულად არ ჯამდებოდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები. ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლაში მთელი პარტიული აქტივი ჩაება.

რაიკომის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად გარდაბნის მტს-ის ზონის მწველავებთან მოვაწყეთ თათბირი. მწველავებს გავაცანი კოლმეურნეობებში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წველადობის მაჩვენებლები, შემდეგ ვრცლად ვუამბე გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავთა გამოცდილებაზე. თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის წველადობის ამაღლებას, და გადაწყვიტეს მათი ოპერატიულად გამოსწორებით მოკლე ხანში გაუთანასწორდნენ მოწინავეებს. წველადობის ამაღლებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ მეცხოველეობის ფერმებთან შექმნილი პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები. გაუმჯობესდა წითელი კუთხეების მუშაობა. ახლა თვალსაჩინოების საშუალებათა გამოყენებით რეგულარულად იმართება აგიტატორთა და მოწინავე მეცხოველეთა საუბრები წველადობის გადიდების საკითხებზე.

კოლმეურნეობათა ეკონომიკის შესწავლამ დაამტკიცა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ დიდია პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯები. ადგილობრივი ფაქტების შესწავლის შემდეგ მოვამზადე მოხსენება თემაზე: „კოლმეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები“. ამ მოხსენებით გამოვედი რაიონულ თათბირზე, რომელსაც ძირითადად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აღრიცხვის მუშაკები ესწრებოდნენ. იგივე მოხსენება, საკოლმეურნეო ცხოვრებიდან აღებული, ახალი კონკრეტული მაგალითებით შევსებული, წავიკითხე ცალკეულ კოლმეურნეობებში. ამასთან კოლმეურნეებს ადგილზე პრაქტიკულადაც დავეხმარე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვთა გამოვლინებაში.

პარტიის რაიკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ რაიონული კომიტეტის წევრები — წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსი ა. ბალდასარი, რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ს. ლობჟანიძე, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ი. ბაბაევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კოლმეურნე შახნიარ მამედოვა და სხვები.

წელს რაიონის მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. გარდაბნელმა მეცხოველეებმა უკვე მიაღწიეს იმ დონეს, რაც მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის დარგში პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის იყო გათვალისწინებული. 1 ოქტომბრისათვის სამუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე წველადობის გეგმა შესრულებულია 127 პროცენტით. საშუალოდ ერთ ცხვარზე მატყლის გამოსავლიანობა გეგმასთან შედარებით 0,5 კილოგრამით გადიდდა. გადაჭარბებით არის განაღდებული აგრეთვე მარცვლეული და თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმები.

ამ მაჩვენებლების მიუხედავად სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მრავალი გამოუყენებელი რეზერვია. მაგალითად, დიდი ჩამორჩენაა მეფრინველეობაში. რაიონის 14 კოლმეურნეობიდან მეფრინველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალებანი გასულ სამეურნეო წელს მხოლოდ ორმა კოლმეურნეობამ შეასრულა. მთელი რიგი კოლმეურნეობები წველადობის, მატყლის გამოსავლიანობისა და თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის დარგში რაიონის საშუალო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩებიან. მებოსტნეობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობა და თბილისის ვეტერინარული ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა ჯერ კიდევ არარენტაბელურად მუშაობენ.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების წამოწევა ბევრად არის დამოკიდებული რაიკომის, მისი წევრების, მთელი პარტიული აქტივის ყოველდღიურ კონკრეტულ მუშაობაზე. სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობას ყოველთვის უნარიანად ვერ ვიყენებთ. პარტიული აქტივის კრებებსა და პლენუმებზე უფრო მეტად რეკომენდებულ საკითხებს განვიხილავთ. რაიკომი მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის ყოველთვის ვერ რაზმავს ფართო აქტივს, რის შედეგადაც ამ დადგენილებათა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები განუხორციელებელი რჩება. ჯერ კიდევ სათანადო აქტივობას არ იჩენენ რაიონული კომიტეტის წევრები — მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ა. კაკურიძე, სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი ს. ყულიევი და სხვები.

პარტიის რაიონული კომიტეტის წევრთა აქტივობის შემდგომი ამაღლება ჩვენი რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მნიშვნელოვანი პირობაა.

ა. რავა,
საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის წევრი.

შემოდგომის დღეები...

რეპორტაჟი







მაღლობის შიშველ ფერდობებზე მიხვეულ-მოხვეული გზა და შემდეგ პატარა ხეივიც უკან მოვიტოვეთ თუ არა, თვალწინ საკოლმეურნეო სოფლის დიდებული პანორამა გადაიშალა: ქვემოთ, მდინარის პირას, მშვენიერი ბაღები, ვენახები და ბოსტნებია, ქალაქის მსგავს სოფლის შუაგულში ლარივით ქუჩებზე კი კოლმეურნეთა „პობედები“ და „მოსკვიჩები“ დაჰქრიან...

შორს, მთიხძირში, მწვანე მინდორში ნახირი, ხოლო სოფლის განპირას ხარაჩოები ჩანს. სათაც უნდა გაიხედო, ყველგან სასახელო, საკოლმეურნეო შრომის დაუვიწყარი სურათებია...

იქ, სადაც ბალები თავდება, ტრაქტორის მძლავრი გუგუნი ისმის, ხნულის შავი ზოლები გასდევს ყანებს, ოხშივარი ასდის გადაბრუნებულ ბელტებს.

— დღეს მომავალი წლის უხვი მოსავლის ბედსა ვწყვეტთ,—გვითხრა შოლავრის მტს-ის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. არუთინოვმა.

საშემოდგომო ხორბლეულის დროული თესვით მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა პატივსცემა დაიმსახურა ტრაქტორისტმა ხ. არუთინიანმა. როგორც პირველ სურათზე ვხედავთ, ის შემოქმედებითს შრომაშია. გამრჯე, მუყაითი ვაუკაცი ხ. არუთინიანი ყოველდღიურ დავალებას წარმატებით ასრულებს. გეგმით მან დღეში 20 ჰექტარი უნდა მოხნას, ფაქტიურად 25 ჰექტარს ხნავს. სატრაქტორო ბრიგადას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საშემოდგომო სამუშაოები 1 ნოემბრისათვის დაამთავროს.

— გეგმის თანახმად კი, — ღიმილით გვეუბნება ტრაქტორისტი, — ხვნა-თესვას 10 ნოემბრისათვის უნდა მოვრჩეთ.

შემოდგომის სიუხვე და სურნელება ნათლად იგრძნობა ვენახებში. კარგად მოვლილი ვაზების მწკრივებში, ოდნავ ფერმკრთალ ფოთლებს შუა, ივალს იზიდავენ ქარვისფერი მტევნები. სიხარული და დიდი გამოცოცხლებაა ზვრებში. ვენახებს შესვლია დიდი და პატარა, ზოგი კრეფს, ზოგი მიმდები პუნქტისაკენ ეზიდება ყურძენს...

სურათზე რომ ხედავთ ბლოკნოტით ხელში, ეს ბრიგადირი ბ. აპრესიანია. ის დინჯად აღრიცხავს კოლმეურნეთა მიერ დაკრეფილ ყურძენს.

ბარაქიანი შემოდგომა აქვთ შაუმიანელებს. 50 ჰექტარზე გადაჭიმული ვენახებიდან მოაქვთ და მოაქვთ უხვი მოსავალი. თავდადებულ მა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. გეგმით შაუმიანელებს ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ. — ვაუკაცობა ის არის, რაც შეიძლება მეტი პროდუქტი მისცე სამშობლოს, თორემ გეგმის შესრულება ისეც გვევალება! — გვითხრა ბერიკაცმა ერემ მანუჩარიანმა.

მართლაც ასეა: კოლმეურნე ა. პაპონიანმა მისთვის მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთის თვითეული ჰექტარიდან 40 ტონამდე, ანუ ეს სურათი გადაღებულია, 410 ცენტნერი ყურძენი დაკრიფა. ბარაქიანი მოსავალი მოუმზადებელს ! ეს ვეფხვის ბოლო-პაპონიანმა — ეს ... მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ აგრეთვე კოლმეურნეები ა. კაზარიანი, ს. როსტოვანოვი, ი. აკოფოვი... ვინ ჩამოთვლის მათ, ისინი ათობით არიან აქ.

ვენახის ბოლოს, ლოყაწითელი ვაშლებით დახუნძლული ხეივის წინ, კოლმეურნეობის აგრონომი ს. გრიგორიანი შეგვხვდა.

— გაიცანით ჩვენი არჩილი, — მიგვითითა მან ვენახიდან გამოსულ დაბალ-დაბალ სახემოღიმარ კაცზე. ეს იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი არჩილ კობახიძე. იგი საცდელ ნაკვეთს ამოწმებდა.

— დაძაბულ შრომასა და ლხინში ერთად ვართ, — თქვა გრიგორიანმა და არჩილს ხელი გადახვია.

ხელიხელჩაკიდებულნი სასახელო შემოქმედებითს შრომას ეწევიან ძმები. ქართველ და სომეხ ხალხთა სიყვარული და მეგობრობა საუკუნეებით მომდინარეობს, იგი მტკიცეა და ურღვევი.

* * *

კამკამა მდინარე უკან მოვიტოვეთ მაშინ, როცა მზე მთის იქით გადაიხარა, ხეების გრძელი ჩრდილები გამოქცდა...

ქვიტკირის ახალი შენობის უკან ომახიანი ხმა შემოგვესმა, ვიღაცამ ორჯერ დაიძახა:

— ჰეი, ჰეი!.. და უმალვე დასუქებული ღორები ღრუტუნით, ქშენით გამოქანდნენ მისკენ. ამ მდგომარეობამ გაგვაოცა.

— თვითეულ გოჯს, — გვიამბო მეღორე ს. ხანუმოვმა, — თავიდანვე მზრუნველობით ვუვლი. ისინიც ყურს მიგდებენ, მემორჩილებიან...

სურათზე გასუქებულ ღორებს შუა კოლმეურნე რომ დგას, გამოცდილი მეღორე ვ. არუთინოვია. ხაჭართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ბოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი — ამ ლოზუნგს მხურვალედ გამოეხმაურნენ აქ.

— აბა იმ ღორს შეხედეთ, ძლივს რომ დადის. 250 კილოგრამს იწონის. ყოველდღე 600 გრამს მატულობს. ასეთები, როგორც ხედავთ, არც თუ ცოტა გვყავს!..

შაუმიანელთა სიტყვა და საქმე განუყოფელია.

აი ერთი მომხიბლავი სურათიც. დარბაისელ კოლმეურნე ქალს ა. მიკირტიჩიანს გარს შემოხვევიან თოვლის ფიფქივით თეთრი ქათმები.

— ბევრჯერ მეკითხებიან, — ამბობს იგი, — ასე უკლებლად როგორ ამრავლებ ქათმებსო, რა გითხრათ, შვილო, თუ საქმე გიყვარს, შედეგიც კარგია...

მართალი სიტყვებია!

* * *

დაბინდდა. ორღობეებიდან ელექტროჰაღლებით გაშუქებული სახლებისაკენ მიეშურებოდნენ საკოლმეურნეო შემოქმედებითი შრომის ადამიანები...

ბარაქიანი შემოდგომის დაუვიწყარი დღეებია შაუმიანში!

ა. გოცირიძე.

მეგობრობის ფესტივალი

საზეიმოდ იყო მორთული 25 ოქტომბერს თბილისის 71-ე ქართული და 104-ე სომხური სკოლების შენობა. ვესტიბიულში თვალს იტაცებდა ფერადი ყვავილები, დროშები, პლაკატები, სურათები. გამოკრული იყო ლოზუნგები ქართულ და სომხურ ენებზე: „მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით შევხვდეთ ფესტივალს! სალამი ფესტივალის მონაწილეებს!“ შეკრებილნი ყურადღებით ათვალიერებდნენ გამოფენას დერეფანში. აქ წარმოდგენილი იყო 71-ე სკოლის მოსწავლეთა მიერ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნიმუშები, ლიტერატურული ფურცლები, მოსწავლეთა ნახატები, რაზმეულის კედლის გაზეთი საერთო სათაურით „ვემზადოთ ფესტივალისათვის“. მოპირდაპირე დერეფანში გამოფენილი იყო 104-ე სკოლის მოსწავლეთა მიერ დამზადებული იარაღები და ხელსაწყოები, ფოტოგაზეთი, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოყვანილი პურის სხვადასხვა ჯიშის ნიმუშები და სხვ.

საღამოს სკოლაში შეიკრიბნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები. აქ გაიმართა 71-ე და 104-ე სკოლების გაერთიანებული ფესტივალი. ორი სკოლის საერთო ვრცელ ეზოში თანმიმდევრობით ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი და სომეხი მოსწავლეები, გაისმოდა რუსული, სომხური და ქართული სიმღერები. ქართული და სომხური სკოლების დირექტორებმა ლ. წივწივაძემ და ს. მელიქსეტოვამ შეკრებილთ მიულოცეს ახალგაზრდობის დღესასწაული და უსურვეს წარმატებანი სწავლასა და შრომაში. თანატოლებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ქართული სკოლის მოსწავლეებმა დ. სანიკიძემ, ბ. სურგულაძემ და ნ. ნინუამ, სომხური სკოლის მოსწავლეებმა ე. აბრამიანმა და ჟ. სარქისიანმა. 71-ე სკოლის მოსწავლემ ლ. კალანდაროვმა წაიკითხა ი. გრიშაშვილის ლექსი „მეგობრობა“; გ. ბორიანის ლექსი „ძმობის სიმღერა“ ქართულ ენაზე წაიკითხა 104-ე სკოლის მოსწავლემ ა. სანოსიანმა.

მაყურებელთა წინაშე წარდგა 71-ე სკოლის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც შეასრულა „პიონერული და ‘ფესტივალური სიმღერა“. მოცეკვავეებმა კარგად შეასრულეს ცეკვა „ფერხული“.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა სომხურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა 104-ე სკოლის პიონერთა ჯგუფმა. მან შეასრულა სიმღერა მოსკოვზე.

შემდეგ გაიმართა მასობრივი ცეკვა-თამაში. მუშაობდა სკოლის რადიოქსელი. გვიან ღამემდე ზეიმობდნენ მეგობრები.

ვ. ჯავახაძე.

* * *

სურათზე: 71-ე სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა. ცეკვა „ქართულს“ ასრულებენ პირველკლასელები გ. რუხაძე (მარცხნივ) და გ. ასათიანი.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით, უდიდეს ისტორიულ წარმატებას მიაღწია. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში დამხობილ იქნა ძველი ექსპლოატატორული საზოგადოება და კაცობრიობის ისტორიაში პირველად აშენდა ახალი, სოციალისტური საზოგადოება.

სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა წარმოადგენდა მრავალმილიონიანი მასების აღზრდის შესანიშნავ სკოლას, რომელმაც განაპირობა საბჭოთა საზოგადოებაში ახალი სოციალისტური იდეოლოგიის დამკვიდრება.

შეუნელებლად ზრუნავს რა მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდისათვის, კომუნისტური პარტია განუხრელად ავითარებს მოზარდი თაობის შემოქმედებითს აქტივობას, უნერგავს ახალგაზრდობას საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებებს — შრომისადმი სიყვარულს, უშიშარობას, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებას, ზრდის მას კოლექტივიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ვ. ი. ლენინმა ამომწურავი სისრულით ჩამოაყალიბა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის პრინციპები, მისი განათლებისა და სწავლის ამოცანები. კომუნისტური აღზრდის საფუძვლად ლენინი თვლიდა ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის. იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ესწავლა კომუნიზმი, ებრძოლა მისი გამარჯვებისათვის, შეეხამებინა თეორიული სწავლა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან.

რევოლუციამდელ პერიოდში კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანას კომუნისტური პარტია უკავშირებდა მეფის ხელისუფლების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მასების რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ მთელი ძალები დარაზმეს კონტრრევოლუციის ჩასახშობად. ახალგაზრდობის კავშირის წევრები, ახალგაზრდა მუშები და მოზარდები მამებთან და უფროს ძმებთან ერთად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით კომკავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია თავის მუშაობაში, გახდა პარტიის ღირსეული თანაშემწე და მისი საიმედო რეზერვი, მოიპოვა მთელი საბჭოთა ხალხის პატივისცემა და სიყვარული.

ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის ახალ პასუხსაგებ ამოცანებს, სულ უფრო იზრდება მშრომელთა, კერძოდ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელობა.

კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა საბჭოთა ადამიანში შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გამომუშავებას. კომუნიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან.

ამხანაგური ურთიერთდახმარების, მეგობრობის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის შესანიშნავ სკოლას წარმოადგენს სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელების საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მსვლელობაში საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის გაიზარდნენ ათეულ ათასობით ახალგაზრდა მუშები, რომელთა შთაგონებული შრომა ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი საბჭოთა ადამიანის სულიერი სახის დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც თავიანთი სამშობლოს მხურვალე პატრიოტები არიან, თავდადებულად იბრძოდნენ ხუთწლედების ახალმშენებლობათა დამთავრებისათვის, ქმნიდნენ გიგანტურ ქარხნებს, მძლავრ ელექტროსადგურებს, შახტებს, ბრძმედებს, ახალ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს. საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ დედა-სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, რომელიც ფრონტსა და ზურგში გმირული ბრძოლით იყო განმტკიცებული, განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მძიმე განსაცდელის წლებში — დიდი სამამულო ომის პერიოდში.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ახალგაზრდობა თავდადებულ შრომას ეწევა კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიის მოწოდებით ჩვენი ახალგაზრდობა გაემგზავრა მილიონობით ჰექტარი უამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა ენერგიულად იშრომა, რომ უამირ მიწებზე მაღალი მოსავალი მიეღოთ. ამ პატრიოტულ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა ახალგაზრდებმაც. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის 2.000-ზე მეტმა ახალგაზრდამ ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქში მოსავლის აღების პერიოდში 350 ათასამდე შრომადღე გამოიმუშავა, ცხადყოფს მათს მონდომებასა და ენთუზიაზმს. საბჭოთა ადამიანების მიზნებისა და ინტერესების ერთიანობა, კოლექტივიზმის, მეგობრობისა და ამხანაგობის ძლავრი ძალა გახდა უამირი მიწების წარმატებით ათვისების საწინდარი.

კომუნისტური პარტია, ზრდის რა ახალგაზრდობას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ასწავლის შრომისადმი სიყვარულს, მოუწოდებს მათ მტკიცედ დაიცვან საწარმოო დისციპლინა. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანების ქცევის ნორმად გადაიქცა. ამიტომ პარტია, კომკავშირი, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა არ ურიგდება შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტებს, არ ინდობს ზარმაცებს, ფუჭსავატური ცხოვრების მოყვარულებს, წამგლეჯებს, წუნისმკეთებლებს.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა იმ თვისებათა აღზრდასთან, რომლებიც საჭიროა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანებისათვის.

ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელებში კომუნისტური მორალის აღზრდას. თავის სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე იგი მიგვითითებდა: „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“. (თხზ., ტ. 31, გვ. 348).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მორალი ატარებს ისტორიულ და კლასობრივ ხასიათს. არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს მორალი, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა დროისა და ხალხისათვის. საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობების შეცვლასთან ერთად იცვლება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ქცევის წესები. ლენინმა განსაკუთრებული სიღრმით და ნათლად განსაზღვრა კომუნისტური მორალის არსი და ძირითადი პრინციპები, მისი მნიშვნელობა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობისათვის.

კომუნისტური მორალი უმაღლესი ტიპის მორალია. იგი განსაზღვრავს ახალი საზოგადოების მშენებელი ახალი ადამიანების ქცევას. კომუნისტურ მორალს, კომუნისტურ ზნეობას, გვასწავლის ლენინი, საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებში ზრდის მაღალ მორალურ თვისებებს: კოლექტივიზმს, საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმად შეგნებას, უსაზღვრო სიყვარულს თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, პრინციპულობას, პატიოსნებას, თავდადებულ ერთგულებას ხალხისადმი და შეურიგებლობას მტრებისადმი.

მასების კომუნისტური შეგნებულობის ზრდა განუყოფლად არის დაკავშირებული მათი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებასთან. ცოდნის უქონლად, გვასწავლიდა ლენინი, კომუნისტური საზოგადოების აშენება არ შეიძლება.

კომუნისტური აღზრდა გულისხმობს ახალგაზრდობის სწავლების თვითეული ნაბიჯის დაკავშირებას პრაქტიკულ საქმეებთან, საყოველთაო-სახალხო შრომაში მონაწილეობასთან. აქედან გამომდინარეობს კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი — სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირების საჭიროება, პოლიტექნიკური სწავლების საჭიროება.

ახალგაზრდობის აღზრდაში ყველაზე მთავარია, რომ მას გადავცეთ იდეური კაპიტალი—კომუნისტური პარტიის უმდიდრესი გამოცდილება, დავეხმაროთ მას დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ახალგაზრდობის ყოველმხრივი სულიერი განვითარებისათვის. მოზარდა თაობის იდეური აღზრდის, მასში კომუნისტური ზნეობისა და საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებების გამომუშავების სამსახურშია ჩაყენებული სოციალისტური კულტურის ყველა საშუალება: წიგნი, პრესა, რადიო, ლიტერატურა და ხელოვნება.

ჩვენი ახალგაზრდები იზრდებიან კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად, მათთვის დამახასიათებელია საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანის მაღალი მორალური თვისებები. მაგრამ ზოგიერთი ჭაბუკი და ქალიშვილი შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი არაკომუნისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს; არც თუ იშვიათად გვხვდება ხულიგნობის, ლოთობის ფაქტები. ყოველივე ეს აფერხებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ, ხელს გვიშლის იმაში, რომ მოზარდი თაობისაგან აღვზარდოთ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მოღვაწეები.

კაპიტალიზმის გადმონაშთები თავისით არ კვდებიან, მათ წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი კომუნისტური მორალით აღზრდილი მაღალი კულტურის მქონე ადამიანი გახდეს.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის პარტიულმა მზრუნველობამ თავისი ახალი გამოხატულება ჰპოვა პარტიის XX ყრილობაზე. ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო აღნიშნულია, რომ საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ახალგაზრდობის იდეურ-აღმზრდელობითს საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა ყოველმხრივ გააუმჯობესონ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ, რათა შეიქმნას საჭირო პირობები ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად.

მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში დგას. საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები ბრძენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის, მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას ახმარენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების საქმეს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

შ. გაგოშიძე.

რა მოგვცა დიდმა ოქტომგერმა

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული ძალიერება

ზ. კეცხოველი,
საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი.

საუბარი ჩვენს რესპუბლიკაზე

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს შეუქმნა ისტორიაში არნახული პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღორძინების პირობები.

რევოლუციამდელი საქართველო, რომელსაც ნედლეულისა და ენერგეტიკის მდიდარი რესურსები ჰქონდა, მეფის რუსეთის ეკონომიურად ჩამორჩენილი, ჩაგრული განაპირა მხარე იყო. საქართველოს ეკონომიკას ძალიან აგრარული ხასიათი ჰქონდა. ქალაქებში მცირე რაოდენობით არსებული საწარმოები კუსტარული ხასიათისა იყო. სამი წლის ბატონობის პერიოდში მეწშევიკებმა საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი საქართველოს ისედაც სუსტ ეკონომიკას. ამ პერიოდში მუშაობა შეწყვიტეს იმ წვრილმა ნახევრადკუსტარულმა საწარმოებმაც, რომლებიც მანამდე ძლივს ბოგინობდნენ. ისედაც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა განიცდიდა დეგრადაციას — კაფავდნენ ბაღებსა და ვენახებს და თესავდნენ სიმინდს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატახა შეწყვეტილი იყო. გაკოტრებული მეწშევიკი ვაჭრელმძღვანელები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს თხოვდნენ დახმარებას ქართველი ხალხის დასამონებლად. მოიშორეს რა ცარიზმის, ხოლო შემდეგ მეწშევიკ მმართველთა უღელი, საქართველოს ხალხებმა 1921 წლის თებერვალში დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მუდმივი დახმარებით, საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

საქართველოს მიღწევები და წარმატებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების საერთო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აღმავლობასთან.

დიდი რუსი ხალხის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოს ხალხები შეუდგნენ შემოქმედებითს შრომას. სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასთან, სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელთა ეროვნული კადრებიც.

შრომისმოყვარე ქართველმა ხალხმა, მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, კომუნისტური პარტიის წარმართველი და მაორგანიზებელი როლის მეოხებით, რესპუბლიკაში შექმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა. რესპუბლიკის მრეწველობას აქვს ისეთი დარგები, როგორც არის ენერგეტიკა (ელექტრობა, ქვანახშირი), მეტალურგიული (თუჯი, ფოლადი, ნაგლინი), სამთამადნო, ლითონდამამუშავებელი (მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი, საავტომობილო), მსუბუქი (საფეიქრო, ფეხსაცმლის, სატრიკოტაჟო და სხვ.), კვების (ხორცის, რძის, ჩაის, მეღვინეობის, თამბაქოს, კარაქ-ცხიმის და სხვ.), ქიმიური, საშენი მასალების, სატყეო-ხისდამამუშავებელი და სხვ.

საქართველოს მრეწველობამ 1955 წელს 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. დიდი წარმატებებია მიღწეული განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში იმ დარგების განვითარებაში, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ. 1955 წელს 1940 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა სამჯერ, ქვანახშირის მოპოვება — 4,3-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება — 4,8-ჯერ. მეხუთე ხუთწლედში საქართველოში დაიწყო თუჯის, ფოლადის, ნაგლინის დამზადება, ავტომობილმშენებლობა, რაც არ იყო 1940 წელს.

ამასთან ერთად ძლიერ განვითარდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ამზადებენ საქონელს მოსახლეობისათვის.

საქართველოს მრეწველობის ზრდის დიდი პერსპექტივებია გათვალისწინებული სკკპ XX ყრილობის დირექტივებით. მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქცია უნდა გადიდდეს 1,6-ჯერ, ამასთან ხუთწლედის მანძილზე ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება დაახლოებით 1,8-ჯერ, თუჯის გაძოდნობა — 1,6-ჯერ, ნაგლინის წარმოება და მარგანეცის მადნის მოპოვება — 1,5-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება — 1,4-ჯერ, აზოტოვანი სასუქის წარმოება — 8-ჯერ, ცემენტისა — 3,1-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა — 2,3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,4-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 1,8-ჯერ, ჩაისა — 1,3-ჯერ.

* * *

სამრეწველო წარმოების განვითარება, საწარმოო ძალების ამოძრავება ემყარება ისეთი ენერგეტიკული რესურსების არსებობას, როგორიც არის ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად იბრძვიან იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით გაადიდონ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება, ვინაიდან რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დამყარება არ შეიძლება მარტო შორიდან შემოზიდული ქვანახშირის მოხმარებაზე. ამ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ქვანახშირის ამოღება და ახლა 1913 წლის დონეს იგი აღემატება 38-ჯერ და უფრო მეტად. ტყიბულის, ტყვარჩელის და ახალციხის მეშახტეები მილიონობით ტონა ქვანახშირს გვაძლევენ. უკანასკნელ წლებში ამუშავდა ახალი შახტები, გამაუხვებელი ფაბრიკები, ათვისებულია ქვანახშირის კონცენტრატების წარმოება საკოქსავად, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ახალი შახტების საექსპლოატაციოდ გადასაცემად, წარმოებს აგრეთვე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ქვანახშირის საბადოებში.

რევოლუციამდე საქართველოს აგრეთვე არ ჰქონდა ელექტროენერგეტიკული მეურნეობა. ელექტროენერგიის გამომუშავება წელიწადში არ აღემატებოდა 20 მილიონ კილოვატსაათს.

ითვალისწინებდა რა მდიდარ ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს, ვ. ი. ლენინმა თავის 1921 წლის 14 აპრილის წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტებისადმი პირველი რიგის ამოცანად დააყენა ელექტროფიკაციისა და მორწყვის დარგში დიდი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. იცავდნენ რა ლენინის მითითებებს, რესპუბლიკის მშრომელებმა, დიდი რუსი ხალხის და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით, გაანაღეს დიდი მუშაობა საქართველოში ჰიდროენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აგებულია ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი, გუმათჰესი № 2, შაორჰესი, სამგორის ჰიდროელექტროსადგურები, რუსთავის ელექტროცენტრალი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და სხვ. აგებულია დიდი და პატარა საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურები. ახლა შენდება რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური, ლაჯანურჰესი, ხრამჰესი მეორე, გუმათჰესი № 1, ტყიბულჰესი.

სეზონური და მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების შექმნამ, მაღალი ძაბვის ხაზის ერთ ჯგუფში გაერთიანებამ საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა ელექტროენერგიის ცენტრალიზებული მიწოდება საქართველოს მსხვილი მრეწველობისათვის, ქალაქებისა და ამიერკავკასიის რკინიგზისათვის.

მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებები ელექტროსადგურების, განსაკუთრებით მარეგულირებელი ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემების ერთ ენერგოსისტემად გაერთიანება, რაც გათვალისწინებულია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებით, საშუალებას მოგვცემს, უახლოეს წლებში აღმოვფხვრათ ელექტროენერგიის ნაკლებობა რესპუბლიკაში.

როდესაც ვლაპარაკობთ ელექტროენერგიის ნაკლებობაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი გამოყენების შემდგომი შესაძლებლობანი და რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში 1955 წელს ელექტროსადგურების სიმძლავრე 1913 წელს არსებული სადგურების სიმძლავრეს აღემატებოდა 80-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება ამავე პერიოდში 110-ჯერ გაიზარდა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი მეზობელი კაპიტალისტური თურქეთი ერთ სულ მოსახლეზე 5,5-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს, ვიდრე საბჭოთა საქართველო.

დიდი ენერგეტიკული რესურსები შეემატება რესპუბლიკის ენერგო ბალანსს გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობის განხორციელებით.

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების (სათბობი კოქსვადი ქვანახშირი) და დაშქესანის რკინის მადნის (აზერბაიჯანის სსრ) გამოყენების ბაზაზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარების მეოხებით, საქართველოში შექმნილია მძლავრი მეტალურგიული ბაზა — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა — რესპუბლიკის ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმო. ამ ქარხანას აქვს სრული მეტალურგიული ციკლი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია კოქსქიმიური საამქროები, საგლომერაციო ფაბრიკა, ორი ბრძმედი, ოთხი მარტენის ღუმელი, საგლინავი, მილსაგლინავი, წვრილსორტული და ფურცელსაგლინავი საამქროები, აგებულია დიდი ელექტროცენტრალი, საკარიერო მეურნეობა და სხვ. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ნედლეულის, სათბობისა და მასალების მომარაგების მხრივ კოოპერირებული მეურნეობაა, სადაც მონაწილეობას იღებს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა. თავის მხრივ ქარხანა უზრუნველყოფს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა რესპუბლიკების სულ უფრო მზარდი მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მომარაგებას სხვადასხვა დანიშნულების ფოლადის მილებით, მავთულით, წვრილი სორტიმენტით, კუთხოვანი რკინით, ფურცლოვანი რკინით და ლითონით.

მეხუთე ხუთწლედში ცარიელ ადგილას შეიქმნა მეტალურგების ახალი სოციალისტური ქალაქი — რუსთავი ფართო პროსპექტებით, ლამაზი საცხოვრებელი სახლებით, კულტურული დაწესებულებებითა და საწარმოებით. მიმდინარეობს საქალაქო მშენებლობა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

საქართველო ახლა ამზადებს თითქმის სამჯერ მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ვიდრე თურქეთი. ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში მოდის 19-ჯერ მეტი თუჯი და ფოლადი, ვიდრე თურქეთში. რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე მზადდება მეტი თუჯი, ვიდრე იტალიაში, ნორვეგიაში, ესპანეთში და მთელ რიგ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საქართველოში მსხვილი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ გამოიწვია მთელი რიგი მსხვილი საწარმოების შექმნა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. 1955 წელს რუსთავში მწყობრში ჩადგა აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელიც თავის პროდუქციას უშვებს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისათვის.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის გრანულირებული წიდის და სადახლოს კარიერის კირქვის გამოყენების ბაზაზე შესაძლებელი გახდა აგვეგო ცემენტის მძლავრი ქარხანა.

როგორც ვიცით, ჭიათურის მარგანეცის საბადოები ცნობილი იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე. მაგრამ მადნის მოპოვება ხდებოდა ნახევრად კუსტარული წესით, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ არაფერი გაკეთებულა მარგანეცის მადნის გასაუხვებლად ან გადასამუშავებლად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჭიათურაში აგებულ იქნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ახალი მაღაროები, გამაუხვებელი ფაბრიკები. ჭიათურაში ყოველწლიურად იზრდება მადნის მოპოვება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მარგანეცის მადნის ნაწილის გადამუშავება ხდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე უკანასკნელ წლებში განვითარდა ქიმიური მრეწველობა. ქალაქ ქუთაისში მუშაობს ლიტოპონის ქარხანა. ქალაქ რუსთავში ეწყობა მარგანეცის მადნის ნარჩენებისაგან კომბინირებული სასუქის, კალიუმის პერმანგანატის და სხვ. წარმოება.

რესპუბლიკის მშრომელთა ერთ-ერთი დიდი მიღწევაა თანამედროვე ლითონდამამუშავებელი მრეწველობის — ჩარხმშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ავტომობილმშენებლობის, სხვადასხვა ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოების მოწყობა. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა დიდი რაოდენობით უშვებს სხვადასხვა ტიპის ჩარხებს გემთმშენებელი მრეწველობისა და ლითონდასამუშავებელი საწარმოებისათვის.

მეხუთე ხუთწლედის წლებში ქალაქ ქუთაისში აშენდა რესპუბლიკის მეორე დიდი სამრეწველო საწარმო—საავტომობილო ქარხანა, სადაც ათვისებულია სხვადასხვა ტიპის სატვირთო ავტომანქანების წარმოება.

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა მანქანებსა და მოწყობილობას უშვებენ კვების მრეწველობისათვის: ჩაის, მეღვინეობის, პურის ცხობის, საკონსერვო დარგებისათვის.

მეექვსე ხუთწლედში განზრახულია მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება სუბტროპიკული კულტურებისათვის (ჩაი, ციტრუსები) და მთიანი რაიონების მიწათმოქმედებისათვის.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა სოფლის მეურნეობის ბევრი უმნიშვნელოვანესი დარგი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ფართოდ დაინერგა ტექნიკური კულტურები, განვითარდა მეცხვარეობა და აბრეშუმის პარკის წარმოება. ამან განაპირობა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების მძლავრი განვითარება. რესპუბლიკა ამჟამად აწარმოებს საქონელს და პროდუქტებს, რომლებსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს საერთოსაკავშირო ბალანსში.

მარტო რესპუბლიკის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები წლიურად ხუთ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას უშვებენ. კვების მრეწველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად განვითარდა უკანასკნელ წლებში. 1955 წელს რესპუბლიკის კვების მრეწველობამ 150 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

როგორც ომამდელი, ისე განსაკუთრებით ომისშემდგომი ხუთწლედების განმავლობაში რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით აშენდა ჩაის ფაბრიკები, ღვინის ქარხნები, მექანიზებული პურსაცხობი ქარხნები, რძისა და ხორცის კომბინატები, ელევატორები და წისქვილ-კომბინატები და სხვა საწარმოები. კვების მრეწველობის ბევრი საწარმო რეკონსტრუირებულია და მოწინავე ტექნიკით აღიჭურვა.

კვების მრეწველობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩაის წარმოებას. პირველადი გადამუშავების 60 ჩაის ფაბრიკა, 2 ჩაის საწნეხი ფაბრიკა ათეულ ათასობით ტონა ამ სასარგებლო პროდუქციას უშვებს. 1955 წელს ჩაის წარმოება გადიდდა 139,6 პროცენტით 1940 წელთან შედარებით. თუ 1950 წელს უმაღლესი და პირველი ხარისხების ჩაის ხვედრითი წონა შავი ბაიხის ჩაის საერთო გამოშვებაში 32,4 პროცენტს შეადგენდა, 1955 წელს მან 40,8 პროცენტს მიაღწია.

რესპუბლიკის მეღვინეობის პროდუქცია განთქმულია ბევრი საუკეთესო მარკის ღვინოებით, კონიაკითა და საბჭოთა შამპანურით. 1955 წელს წარმოებულ იქნა 43 მილიონი ლიტრი ღვინო, 2,5 მილიონი ლიტრი კონიაკი, 5,1 მილიონი ბოთლი საბჭოთა შამპანური. საერთაშორისო გამოფენებზე ქართული ღვინოები მუდამ იპყრობენ ყურადღებას და იმსახურებენ მაღალ შეფასებას. ამ შემოდგომაზე, მეღვინეობის სეზონის დასაწყისისათვის, საექსპლოატაციოდ გადაეცა ღვინის დიდი ქარხანა თელავში 375 ათასი დეკალიტრი ტევადობის სარდაფებით. შენდება სხვა საწარმოებიც.

ხილის და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება 1950 წელთან შედარებით გადიდდა 1,5-ჯერ და უფრო მეტად, საკონდიტრო ნაწარმისა — 1,5-ჯერ. სულ უფრო მზარდი ოდენობით მატულობს ხორცის, ძეხვეულის, ყველისა და რძის ნაწარმის, მცენარეული ზეთისა და მარგარინის, მაკარონისა და პურფუნთუშეულის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, საპნის, თამბაქოს და თამზაქოს ნაწარმის წარმოება. საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში წელიწადში იგზავნება 3 ათასზე მეტი ვაგონი საქართველოს ცნობილი მინერალური წყლები — „ბორჯომი“, „საირმე“, „ძაუსუარი“ და სხვ.



სურათზე: ხრამის ჰიდროელექტროსადგურის საერთო ხედი.

საქართველოში დიდად განვითარდა და მსუბუქი მრეწველობა. რევოლუციამდე საქართველოში საფეიქრო მრეწველობა არ ყოფილა. აბრეშუმის პარკის მთელი მოსავლის გადამუშავებაც კი არ ხდებოდა ნედლ აბრეშუმად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქ ქუთაისში შეიქმნა 5 აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა, რომლებშიც ხდება აბრეშუმის პარკის მთელი მოსავლის გადამუშავება, ხოლო ნედლი აბრეშუმი თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ საწარმოებს ეგზავნებათ.



სურათებზე: ზევით — ფოლადის ჩამოსხმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში, ქვევით — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერი.

რესპუბლიკის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები დიდი ასორტიმენტით უშვებენ ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილებს, შტაპელის ტილოს. ნაცვლად 1928 წელს გამომუშავებული 59 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილებისა 1955 წელს გამოშვებულია 17,7 მილიონი მეტრი. ახლა საქართველოს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები საბჭოთა კავშირის ბევრი რესპუბლიკისათვის ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებლები არიან.

ქალაქ თბილისში შენდება და 1957 წლიდან ნაწილობრივ საექსპლოატაციოდ გადაეცემა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, რომელიც აღჭურვება ჟაკარდის დაზგებით. ფაბრიკა მდიდარი ასორტიმენტით გამოუშვებს ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის მხატვრულად ნაქსოვ ქსოვილებს. დაწყებული 1957 წლიდან, მრეწველობა გადადის მაღალი ნომრების მეტი აბრეშუმის გამომუშავებაზე, რომლიდანაც რესპუბლიკის საწარმოები გამოუშვებენ მაღალხარისხოვან წმინდა, კრეპის ქსოვილებს.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის პირმშო — თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი, რომელიც ძირითადად საქართველოში დამზადებული მატყლით მუშაობს, მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებს საკოსტიუმე და საპალტოე კამვოლის და მაუდის ქსოვილებს. 1955 წელს რესპუბლიკის მატყლისდამამუშავებელმა საწარმოებმა გამოუშვეს 4.331 ათასი მეტრი შალეული, ანუ 35-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს.

ქალაქ გორში ომისშემდგომ წლებში აშენდა ბამბეულის კომბინატი, რომელიც აღჭურვილია უახლესი საბჭოთა მანქანებით, ახალ ხუთწლედში გრძელდება კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უშვებენ სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელს, სამკერვალო ნაწარმს, ზედა და სათეთრეულო ტრიკოტაჟს, ქალისა და მამაკაცის წინდას, ტყავის საგალანტერეო ნაკეთობას და სხვ. მთელი ეს საქონელი წინათ საქართველოში ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებიდან შემოჰქონდათ.

რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებში 1955 წელს გამოშვებულია 7,9 მილიონი წყვილი სხვადასხვა ფეხსაცმელი, ანუ 40-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს. 1937 წელთან შედარებით ახლა რესპუბლიკაში ვუშვებთ ათჯერ მეტ ტრიკოტაჟის თეთრეულს და სამჯერ მეტ წინდის ნაწარმს. 1956 წლის დამდეგს მწყობრში ჩადგა კოტონური წინდის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 3 მილიონ წყვილ მაღალხარისხოვან კაპრონის წინდას.

მოსახლეობის საჭიროებისათვის მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის ბევრი საწარმო, რომლებიც უშვებენ ფართო მოხმარების საქონელს, აგრეთვე რესპუბლიკის სატყეო მრეწველობა, რომელიც დიდი რაოდენობით უშვებს ავეჯს. რესპუბლიკის სატყეო და ხისდამამუშავებელი მრეწველობა მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებს ქაღალდს, ფანერს, ასანთს და ხე-ტყის მასალას მშენებლობისათვის.

ქალაქებსა და სოფლებში საწარმოების, სკოლების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, კლუბების, საცხოვრებელი სახლების ფართო კაპიტალურმა მშენებლობამ მოითხოვა საშენ მასალათა წარმოების განვითარება. მოეწყო ცემენტის წარმოება. ამუშავდა კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები; ისინი ასეულ ათას ტონა მაღალხარისხოვან ცემენტს იძლევიან, ხოლო კასპის შიფერის ქარხანა ათეულ მილიონობით ფილა შიფერს უშვებს. თბილისის კერამიკულმა კომბინატმა მოაწყო სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და მასალების წარმოება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახა ამოცანა უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური პროგრესი და ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი პირობაა მრეწველობის მჭიდრო კავშირი მეცნიერებასთან და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება.

ტექნიკური პროგრესის საკითხების სწრაფად გადაჭრის მიზნით რესპუბლიკაში იქმნება ახალი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები: ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ექსპერიმენტალური ბაზით ქალაქ თბილისში, მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ექსპერიმენტალური ბაზით ქალაქ გორში, მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი ექსპერიმენტალური ბაზით ქალაქ რუსთავში, მრეწველობისათვის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების დამპროექტებელი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ქალაქ ქუთაისში. გარდა ამისა, ქალაქ თბილისში იქმნება ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ქარხანა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროთი.

ამ ინსტიტუტების, აგრეთვე სამინისტროთა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

* * *

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ასეთი მოკლე მიმოხილვიდანაც ნათელია, თუ რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული მუშაობის შედეგად რა კოლოსალური ძვრები მოხდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, რა მძლავრად განვითარდა მისი ეკონომიკა. მიღწევები დიდია და შესანიშნავი, ხოლო პერსპექტივები კიდევ უკეთესი. ამ წარმატებებს შეიძლება ვერ ამჩნევდეს მხოლოდ საბჭოთა საქართველოს სიძულვილით დაბრმავებული, მხოლოდ ხალხის მტერი.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის გზაზე და თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი სსრ კავშირში

სოჩი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). სოჩში ორ დღეს სტუმრად იყვნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები პირები.

სოჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ს. ვასილიევთან საუბარში პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა მაღალი შეფასება მისცა სოჩში საკურორტო საქმის მოწყობას, საბჭოთა მოქალაქეების დასვენებისა და მკურნალობის ორგანიზაციას.

დღეს ავღანეთის პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები პირები თვითმფრინავებით კიევში გაემგზავრნენ. აღლერის აეროდრომზე საპატიო სტუმრები გააცილეს სოჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ს. ვასილიევმა, სამხარეო, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებმა, სოჩის, აღლერისა და ხოსტის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და უსურვა საბჭოთა ადამიანებს კარგი დასვენება სოჩში. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იგი და მისი თანამგზავრები ძალიან მოხარულნი არიან, რომ შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ეს კურორტი, რომლის სახელი გავრცელებულია შორს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

კიევი, 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები პირები.

კიევის აეროპორტი მორთულია ავღანეთის, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით. აქ საპატიო სტუმრის შესახვედრად შეიკრიბა მშრომელთა ასობით წარმომადგენელი. ავღანეთის პრემიერ-მინისტრის შესახვედრად მოვიდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები მ. ს. გრეჩუხა და ნ. მ. გურეევი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ნ. ვ. პოდგორნი, ო. ი. ივაშჩენკო, ს. ვ. ჩერვონენკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი, უკრაინის სსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები. შემხვედრთა შორის იყო აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსული კიევში ბ. ს. კერგეტი.

12 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი ძირს ეშვება. შემხვედრნი ხელს ართმევენ პრემიერ-მინისტრ მუჰამედ დაუდს. კიეველმა პიონერებმა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

აეროდრომზე მუჰამედ დაუდმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

— მადლობას ვუძღვნი ყველა საბჭოთა მეგობარს გულთბილი მიღებისათვის. უკანასკნელ რამდენიმე დღეს, სადაც კი ვიყავით, ყველგან გულითადად მიგვიღეს ჩვენმა მეგობრებმა. ამას არასოდეს არ დავივიწყებთ.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ავღანელი ამხანაგების სალამი გადავცეს ქალაქ კიევს. ჩემი სურვილია, რომ ამ მოგზაურობის შედეგად საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდეს.

მუჰამედ დაუდი მიესალმა აეროდრომზე მყოფ მშრომელთა წარმომადგენლებს.

კიეველები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ მშვიდობისმოყვარე ავღანელი ხალხის წარმომადგენლებს.

დიდი თეატრი ლონდონში

ლონდონი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს დიდი თეატრის საბალეტო დასმა, რომელიც უდიდესი წარმატებით სარგებლობს ლონდონში, დადგა სპექტაკლი „ეიზელი". მთავარ როლს ასრულებდა გ. ულანოვა. სპექტაკლს დაესწრო დედოფალი ელისაბედ II. ანტრაქტში სპექტაკლის მონაწილენი წარუდგინეს დედოფალს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესია

ვარშავა, 24 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა.

თავის სიტყვაში ცირანკევიჩი შეეხო მიმდინარე პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინაშე, და ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების განსაკუთრებული მნიშვნელობა. „სოციალიზმის მშენებლობა პოლონეთში სსრ კავშირის გარეშე ან, როგორც ეს ზოგიერთ უგუნურს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, სსრ კავშირის წინააღმდეგ — შეუძლებელია", — თქვა ცირანკევიჩმა.

დასასრულ ცირანკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებრივი დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მუშათა კლასის სიფხიზლე.

ვარშავა, 25 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის გუშინდელ საღამოს სხდომაზე დამთავრდა განხილვა სეიმის არჩევნების დებულების პროექტისა, რომელიც კომისიამ წარადგინა. სეიმმა დაამტკიცა არჩევნების დებულება.

შემდეგ სესიამ დაამტკიცა ცვლილებები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, რომლებიც წარადგინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა.

სესიამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა პოსტებიდან გაიწვია ტ. გედე, ს. ენდრიხოვსკი (ეს უკანასკნელი დატოვებულია სახელმწიფო ეკონომიური დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე), ს. ლაპატი, ვ. სტავინსკი (ეს უკანასკნელი დატოვებულია მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პოსტზე), ფ. იუეკიაკი.

სესიამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების პოსტებიდან გაიწვია ტ. მინცი და ზ. ნოვაკი. სესიამ ს. იგნარი და ზ. ნოვაკი დაამტკიცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად.

სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტიდან გაწვეულია რ. ზამბროვსკი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად მისი არჩევის გამო.

სესიის მუშაობაში გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც იმუშავებენ სეიმის კომისიები, რომლებიც განიხილავენ პოლონეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-60 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის პროექტს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ეროვნულმა კრებამ განიხილა რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებს გი მოლეს მთავრობას და იწონებს მის პოლიტიკას. ეს რეზოლუცია შეიტანა სოციალისტთა ჯგუფმა მთავრობის საერთო პოლიტიკის გამო კამათის ბოლოს, რომლის მსვლელობაში განიხილავდნენ სუეცის არხის, ალჟირის მდგომარეობის პრობლემებს, აგრეთვე ეკონომიურ საკითხებს.

კამათში გამოსულმა მთავრობის წევრებმა (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. პინომ, მინისტრმა ლაკოსტმა, რომლის რეზიდენცია ალჟირშია) დაადასტურეს თავიანთი განზრახვა შეინარჩუნონ თავიანთი პოლიტიკის კურსი, რომელიც, როგორც ცნობილია, დღემდე ხელს არ უწყობდა სუეცის პრობლემის გადაჭრას მოლაპარაკების გზით. ამავე დროს ძალის გამოყენების ამ პოლიტიკას უკვე მოჰყვა მდგომარეობის გაძაბვა ჩრდილოეთ აფრიკაში.

დღევანდელ სხდომაზე პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენელთა გამოსვლა კენჭისყრის მოტივების გამო მოწმობდა, რომ მემარჯვენე ჯგუფები იწონებენ მთავრობის პოლიტიკას. „სოციალურ რესპუბლიკელთა" წარმომადგენელმა ტრიბუნემ (ყოფილი დეგოლელთა ჯგუფი) და სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრმა პფლიმნელმა მხარი დაუჭირეს მთავრობის პოლიტიკას, განსაკუთრებით ალჟირის საკითხში.

მემარცხენე დეპუტატები მტრული შეძახილებითა და ხმაურით შეხვდნენ კომუნისტ დეპუტატ ვალდეკ როშეს, რომელიც ტრიბუნაზე ავიდა, რათა განემარტა კომუნისტური ჯგუფის პოზიცია. ვალდეკ როშემ მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ალჟირში, აგრეთვე მისი მოქმედება ეგვიპტის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ვალდეკ როშემ განაცხადა, რომ მთავრობამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ამომჩეველთა წინაშე და არ აღებს ღონისძიებებს ალჟირის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

დეპუტატი კომუნისტები, თქვა ვალდეკ როშემ, ხმას მისცემენ მთავრობისადმი ნდობის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ ეროვნული კრების სხდომაზე გრძელდებოდა გამოსვლები იმ რეზოლუციებისათვის კენჭისყრის მოტივების გამო, რომელიც ნდობას უცხადებს გი მოლეს მთავრობას. რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის ხელმძღვანელმა პიერ მენდეს-ფრანსმა მხარი დაუჭირა ისეთ პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ალჟირის ფრანგი და მუსლიმანი მოსახლეობის დაახლოება. მენდეს-ფრანსის აზრით, ასეთი ღონისძიებანი სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს იმის გამო, რომ გაუარესდა საფრანგეთის ურთიერთობა ტუნისთან და მაროკოსთან. მიუხედავად ამისა, მენდეს-ფრანსის სიტყვით, უშუალო მოლაპარაკება ალჟირელ აჯანყებულთა წარმომადგენლებთან „დროული არ იქნებოდა". შეეხო რა ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელთა ტყვედ ჩაგდებას, მენდეს-ფრანსმა იკითხა, წარმოიდგინეს თუ არა ამ ოპერაციის ინიციატორებმა, როგორი იქნებოდა მისი პოლიტიკური და დიპლომატიური შედეგები?

კენჭისყრის წინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ თქვა განმარტება გაკეთა ალჟირის ამბების გამო. მან განაცხადა, რომ ალჟირელ ხელმძღვანელთა დაპატიმრებას საკითხი მთავრობის სახელით გადაჭრა მინისტრმა ლაკოსტმა, რომლის რეზიდენცია ალჟირშია. მან აღიარა, რომ საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი, რომლებმაც ამას წინათ დაიკავეს გემი იარაღით, რომელიც თითქოს ეგვიპტიდან ალჟირში მიდიოდა, „მოქმედებდნენ ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ". გი მოლე ამართლებდა ფრანგ ხელისუფალთა მოქმედებას, რომლებმაც ალჟირელ მოღვაწეთა დაპატიმრებით დიდი აღშფოთება გამოიწვიეს არაბთა ქვეყნებში.

შემდეგ დაიწყო კენჭისყრა.

რეზოლუცია მთავრობისადმი ნდობის შესახებ მიღებულ იქნა 330 ხმით 140 ხმის წინააღმდეგ, 47 კაცმა თავი შეიკავა.

ი. დიკმანის განცხადება საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი

ბერლინი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მე-11 წლისთავის გამო გუშინ ბერლინში გაიმართა გაერთიანებული „ერების ორგანიზაციის საკითხთა გერმანული ლიგის სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის ნოტას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი, ი. დიკმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ნოტაში გამოთქმული საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტს, სავსებით ემთხვევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისს. ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, თქვა ი. დიკმანმა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უგულებელყოფის ყოველი ცდა ჩაიფუშება.

ბუდაპეშტში ანგიხალხური ავანგიუარის ჩაშლის გამო

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობა

ბუდაპეშტი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიომ დღეს დილით გადასცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი ცნობა:

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბრძანებით უნგრეთის არმიამ, შინაგანმა ჯარებმა და მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა საბჭოთა ჯარების დახმარებით 24 ოქტომბერს ღამით მოახდინეს კონტრრევოლუციური აჯანყების ლიკვიდაცია.

კონტრრევოლუციური ძალები დამარცხებული არიან. მაგრამ ზოგიერთი ადგილას ჯერ კიდევ მოქმედებენ მცირე შეიარაღებული ჯგუფები.

მთავრობა მიმართავს მოსახლეობას მოწოდებით, რომ მან თვითონ აღადგინოს ტრამვაის, ავტობუსისა და ტროლეიბუსების მოძრაობა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. მუშები უნდა შეუდგნენ მუშაობას. სამრეწველო საწარმოებმა უნდა აწარმოონ პროდუქცია, უნდა მუშაობდნენ დაწესებულებანი. მაგრამ ყველა სკოლა — დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი — განსაკუთრებულ განკარგულებამდე დახურული რჩება. მაღაზიები უნდა გაიღოს დაწესებულ დროს. მთავრობამ და ბუდაპეშტის საქალაქო საბჭომ განკარგულება მისცეს შესაბამის ორგანოებს უზრუნველყონ ნორმალური მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით".

ნაშუადღევს გამოცხადდა, რომ იანოშ კადარმა შეცვალა ერნე გერე უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე.

საღამოს იანოშ კადარმა სიტყვა წარმოთქვა რადიოთი. მიმართა რა მშრომელებს, იანოშ კადარმა მოუწოდა რაც შეიძლება მალე აღადგინონ ნორმალური ცხოვრება უნგრეთში.

რადიოთი გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმრე ნადი, რომელმაც თქვა, რომ უნგრეთში სრული წესრიგის აღდგენისთანავე მოწვეული იქნება სახელმწიფო კრების სესია, რომელსაც მთავრობა წარუდგენს ღონისძიებათა ყოვლისმომცველ და დასაბუთებულ პროგრამას, რომელიც „მოიცავს ერისათვის საინტერესო ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხს".

ბუდაპეშტი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტში ცხოვრება თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება. შეუფერხებლად მუშაობენ ქალაქის ელექტროსადგური, გაზის ქარხანა, ქალაქის სატელეფონო კავშირი. დღეს დილით მუშაობა დაიწყეს ავტომატურმა პურის ქარხნებმა.

ეგვიპტის მთავრობის განცხადება

კაირო, 25 ოქტომბერი. (საკდესი). კაიროს რადიომ გადასცა ეგვიპტის მთავრობის განცხადება ალჟირში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხუთი ხელმძღვანელის დაპატიმრების გამო.

„ფრანგ ხელისუფალთა ძალმომრეობითს მოქმედებას ალჟირელი ლიდერების მიმართ, — ნათქვამია განცხადებაში, — ეგვიპტის მთავრობა დიდი მწუხარებით შეხვდა. ეს ნაბიჯი წარმოადგენს არა მარტო მორალისა და წესიერების საფუძვლების დარღვევას, არამედ აგრეთვე ვერაგობის აქტს, რაც ესოდენ დამახასიათებელია იმპერიალიზმისათვის. მოქმედებს რა ამგვარად, საფრანგეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები, აგრეთვე საერთაშორისო ავიაკონვენცია, რომელსაც თვითონვე მოაწერა ხელი.

ეგვიპტის მთავრობა, ითვალისწინებს რა ყველა ხალხის თავისუფალი არსებობისა და თვითგამორკვევის უფლებებს, აგრეთვე ალჟირელი ხალხის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას, აცხადებს, რომ იგი გადაჭრით გმობს ხალხთა სურვილებისა და მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლის ამგვარ უღირს მეთოდებს".

ახალი ატს-ის მშენებლობაზე

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, თბილისშიც მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია საქალაქო სატელეფონო ქსელის საგრძნობლად გაფართოება. ამჟამად მიმდინარეობს ვაკის რაიონული ავტომატური ტელეფონის სადგურის დამონტაჟება.

ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ხელსაწყო მაგრდება სადგურის დარბაზში ჩამწკრივებულ დანადგარებზე. აი ტექნიკოსმა ადგილზე დააყენა მაძიებელი — ხელსაწყო, რომელიც ზუსტი მოძრაობით „პოულობს" სასურველი აბონენტის ხაზს და ავტომატურად აკავშირებს ერთმანეთთან ტელეფონებს. საათაც უნდა გაიხედოთ, ყველგან მოჩანს რელეები, წინასწარმაძიებლები, თეთრი ოთხკუთხედი კონდენსატორები.

სადგურს ამონტაჟებენ ხ. სევასტოვი, ო. პატიაგა, დ. სანებლიძე, ნ. გროშიკოვა, რ. ვართანიანი, ა. ხასანოვი, გ. თურქია. მათ ხელმძღვანელობენ ინჟინერები ვ. კობაიძე და ი. ხოიფერტისი.

— მალე გადაეცემა ახალი ატს-ი საექსპლოატაციოდ? — ვეკითხებით ვ. კობაიძეს.

— ვცდილობთ, რომ ავამუშაოთ ნოემბერში.

ამჟამად მიმდინარეობს ხელსაწყოების „წვრთნა" — ახე ეძახიან აქ მათ გამოცდას. ანთვეებენ სხვადასხვა ფერის სასიგნალო ნათურები, რომლებიც იტყობინებიან ხელოვნურად შექმნილ დაზიანებათა შესახებ.

აი, ტექნიკოსმა რ. კენჭოშვილმა მაძიებლის მოძრაობა ხელით შეაჩერა. დანადგარის თავზე წითელმა ნათურამ ციმციმა.

— კარგია. — ამბობს ტექნიკოსი და განაგრძობს სიგნალიზაციის შემოწმებას. — არც ერთი ტექნიკური დეფექტი სადგურში სიგნალიზაციას არ გამოეპარება და ტექნიკოსებს საშუალება ექნებათ დაუყოვნებლივ გაასწორონ დაზიანება. ეს კი სადგურის გამართული მუშაობის აუცილებელი პირობაა.

ახალი რაიონული ატს-ის ტელეფონის ნომრები აიკრიფება ციფრით „2". სადგურის გაშვების შემდეგ ვაკეში არსებული ტელეფონის ნომრები განთავისუფლდება, და შესაძლებელი გახდება მათი გამოყენება ქალაქის სხვა უბნებში.

ა. გეზარაშვილი.

* * *

სურათზე: ტექნიკოსები ნ. გროშიკოვა და გ. თურქია ამონტაჟებენ სადგურს.

ალიოხინის ხოკეის ტურნირი

25 ოქტომბერს მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ტურნირის ერთ-ერთი ლიდერის ტაიმანოვის და ულმანის პარტია ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე კერესი-ნაიდორფი და შტალბერგი-გლეგორიჩი. საინტერესო ბრძოლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა 72-ე სვლაზე დაამარცხა ნაიდორფი. სლივამ მოუგო საბოს, ნაიდორფმა — გოლომბეკს, სმისლოვმა — პადევსკის, სლივამ — უნციკერს.

10 ტურის შემდეგ ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი სმისლოვი, რომელსაც 7½ ქულა აქვს. გროსმაისტერმა ტაიმანოვმა 10 შესაძლებლიდან 7 ქულა შეაგროვა.

სსრ კავშირის პირველობაზე

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკეები ემზადებიან სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური და ფინალური შეჯიბრებისათვის. ვაჟთა საკავშირო ნახევარფინალები გაიმართება ლენინგრადში, ხარკოვსა და თბილისში ნოემბრის შუა რიცხვებიდან.

საერთო ინტერესს იწვევს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. ეს შეჯიბრება გაიმართება დნეპროპეტროვსკში. აქ ნახევარფინალებში გამარჯვებულებთან ერთად პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი მოჭადრაკე ქალები — მსოფლიოს ჩემპიონი რუბცოვა, ბიკოვა, რუდენკო.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გაფრინდაშვილმა, კაკაბაძემ და ტოგონიძემ. საქართველოს მოჭადრაკეები წარმატებით ემზადებიან მომავალი შეხვედრებისათვის. მწვრთნელად მოწვეულია საერთაშორისო ოსტატი ა. სოკოლსკი (მინსკი), მიმდინარეობს სისტემატური წვრთნა.

ა. სოკოლსკის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ გაფრინდაშვილი, გურგენიძე და ბუსლაევი. კაკაბაძე და ტოგონიძე წვრთნას გადიან ვ. ქარსელაძესთან.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გიმართა მძლეოსანთა ასპარეზობა. შეჯიბრების მონაწილეთა შორის მაღალი სპორტული შედეგი მოიპოვა ნ. პონომარიოვამ, რომელმაც ბადრო ტყორცნა 53,33 მეტრზე.

⊙ ამ დღეებში კრივის მოყვარულთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯებს ი. კაცს (რიგა), ჰ. მატსოვს (ტალინი), ა. ალალაროვს (ბაქო), ი. ბულიჩევს (მოსკოვი).

მწვრადთა კავშირში

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კლუბში (მაჩაბლის 13) პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე მოეწყობა შ. დადიანის რომანის „გვირგვილიანების ოჯახის" განხილვა. მოხსენებას წაიკითხავს შ. აფხაიძე. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

30 ოქტომბერს პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 14, მე-3 სართული), შედგება გაზეთ „კომუნისტის"

მუშსოფლკორთა შეკრება,

მიძღვნილი მუშსოფლკორთა მოძრაობის ამოცანებისადმი.

შეკრებაზე მოწვეულნი არიან ქალაქების თბილისის, რუსთავის, თბილისის გარეუბნის და მცხეთის რაიონების მუშსოფლკორები.

რედაქცია თხოვს „კომუნისტის" მუშსოფლკორებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ შეკრებაში.

შეკრების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის — ფილოსოფოსის დოქტორი (პრემიერა), მარჯანიშვილის სახელობის — მოკვეთილი, გრიბოედოვის სახელობის — ერთი. სიყვარულის ისტორია, სომხური დრამის — სისხლიანი უდაბნო, მუსიკალური კომედიის — ახალი სიმღერა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოჯახი (აბონემენტი № 40, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მაშენკა (7 ს.), თოჯინების ქართული — ჭკუა და გამოცდილება (10 ს., 2 ს.), ფილარმონია — საღამო „ახალგაზრდობა ესტრადაზე" (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი (საზამთრო და საზაფხულო), პლეხანოვის და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კომუნარების ბაღი — ასი სერენადა, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო და საზაფხულო), კიროვის სახელობის პარკი — ბორანი, კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ალყამემორტყმული ციხეში, კოლხიდა (საზაფხულო), დიდუბე (საზამთრო) ორმოცდამეერთე, დიდუბე (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი — კარუსელი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — მეორე სიჭაბუკე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — სხვადასხვა ბედი, ქრონიკა — თეთრი პუდელი.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 28 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — მსუბუქი საორკესტრო მუსიკის კონცერტი, 12.15 — რუს კომპოზიტორთა რომანსები, 12.45 — მედუდუკეთა ანსამბლის კონცერტი, 13.20 — რადიოინსცენირება შ. ამისულაშვილის პოემისა „გაფანტული ბურუსი", 14.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.45 — საუბარი: „მგზნებარე ბოლშევიკი", 17.00 — სვეტლოვსკის „ავანგარდისა" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 20.30 — სიმღერები კინოფილმიდან „ასი სერენადა".

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.45 — ქართული საბალეტო მუსიკის კონცერტი, 22.10 — ლიტერატურული გადაცემა — დ. შენგელაიას მოთხრობა „პატარა ქალი", 22.30 — გადაცემა „ბერუელი მომღერალი ომა სუმაკი".

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 21.35 — ძველებური რომანსები და სიმღერები, 22.00 — საესტრადო კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" მიმოხილვა, 18.00 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

რუსთაველის სახელოვნების ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 27 ოქტომბერს, კვირას, 28 ოქტომბერს
დღისით და საღამოს
ახალი წარმოდგენა

ბ. ნუშიჩი

ფილოსოფიის დოქტორი

კომედია 4 მოქმედებად
თარგმანი პ. წერეთლისა

მონაწილეობენ:

ივოტა ცვიოვიჩი	— ემ. აფხაიძე (რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი),
	ერ. მანჯგალაძე
მარა	— თ. თარხნიშვილი
ბლაგოი	— გ. გეგეჭკორი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი)
მილორადი	— რ. ჩხეიკვაძე
სლავკა	— ზ. კვერენჩხილაძე
ველიმირი	— ბ. კობახიძე
ქ-ნი დრაგა	— ეკ. ვაჩნაძე
ქ-ნი სოიკა	— ალ. თოიძე (რესპუბლიკის სახალხო არტისტი)
ბ-ნი სიმო	— ჯ. ღლონტი
ქ-ნი კრონიჩი	— ნ. ალექსი-მესხიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი)
ქ-ნი სპასოევიჩი	— რ. ბერიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი)
კლარა	— მ. ჩახავა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი)
პროფესორი რაისერი	— ვ. სულაქველიძე
მარიცა	— მ. მიქელაძე

დაღვმა თუმანიშვილისა, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი), კომპოზიტორი ს. ცინცაძე (სტალინური პრემიის ლაურეატი), დირიჟორი ვ. ვეჯაძე, ფორეოგრაფი გულ. დავითაშვილი, რეჟისორის თანაშემწე გ. კვაჟაძე.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულთან და 1957 წელს ქ. მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით აცხადებს **კონკურსს საუკეთესო საგუნდო ნაწარმოებებზე.**

კონკურსში შეიძლება წარმოდგენილ იქნას დიდი და მცირე ფორმის საგუნდო ნაწარმოებები.

ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დადგენილია შემდეგი პრემიები:

დიდი ფორმის ნაწარმოებებისათვის

პირველი პრემია (ერთი) — 20.000 მანეთი
მეორე პრემია (ორი) — 15.000 მანეთი

მცირე ფორმის ნაწარმოებებისათვის

პირველი პრემია (სამი) — 4.000 მანეთი
მეორე პრემია (ექვსი) — 3.000 მანეთი
მესამე პრემია (რვა) — 2.000 მანეთი

კონკურსზე პრემირებულ საგუნდო ნაწარმოებთა ლიტერატურული ტექსტები შეძენილ იქნება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ.

კონკურსის პირობები და ვადები

საგუნდო ნაწარმოები კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას დევიზის აღნიშვნით, ხოლო დახურულ კონვერტში, რომელსაც იგივე დევიზი ეწერება, უნდა იყოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი, ნაწარმოების სახელწოდება.

საგუნდო ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას კონკურსზე 1957 წლის 10 იანვრამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. №19, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. წარწერით — **„საკონკურსო".**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

მოქალაქე თენგიზ ალექსანდრეს-ძე ხანაკოევმა, მცხოვრებმა ჯანაშიას ქ. № 2, აღძრა საქმე ბარნოვის ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე მედეა ხიმონის ასულ შავლიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონი